სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „თსუ“) პროფესიული სტუდენტის (შემდგომში - „სტუდენტი“) შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.
2. თსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

მუხლი 2. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
2. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინებით, ცენტრის ხელმძღვანელი ამტკიცებს სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის (შემდგომში - „ვერიფიკაცია“) ჯგუფის შემადგენლობას და მის ხელმძღვანელს.
3. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით, ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას, ვერიფიკაციის ჩატარების თარიღებსა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის ვადებს.
4. ვერიფიკაციის გეგმა უნდა შეთანხმდეს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
5. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში იწყება ვერიფიკაციის პროცესი.
6. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება დადგენილი დროის რეგლამენტის დაცვით.
7. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელსა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
8. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.
9. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის ანგარიშის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, ცენტრი შეიმუშავებს ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომელიც პრობლემატური საკითხების მოგვარებისკენ იქნება მიმართული. ასევე, სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა იყოს: აქტივობების განხორციელების თარიღები, შესრულების ინდიკატორები, საჭირო ადამიანური, მატერიალური რესურსი და პროცესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
10. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შედგენასა და ვალიდაციაში არ უნდა იყოს ჩართული ვერიფიკაციის პროცესში.

მუხლი 3. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცესი

1. სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებათა ვერიფიკაცია.
2. სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
2.1. ვალიდურობას;
2.2. სანდოობას;
2.3. გამჭვირვალობას;
2.4. სამართლიანობასა და ობიექტურობას.
3. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურებისთვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
5. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე, შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის.
6. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგ(ებ)ი (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალა-აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
7. შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა სტუდენტი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.
8. ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შემდეგი საკითხების განსაზღვრას:
8.1. ვერიფიკაციის რისკების სისტემის ჩამოყალიბება (შერჩევის მექანიზმი);
8.2. ვერიფიკაციის პროცესის განხორცილებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
8.3. ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელი პირების განსაზღვრა.
9. რისკების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს:
9.1. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი;
9.2. მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება;
9.3. შეფასების ინსტრუმენტში დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
9.4. პროგრამაში განხორციელებული ცვლილება;
9.5. პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების ხშირი მომართვიანობა;
9.6. წინა ვერიფიკაციის პროცესში მოდულ(ებ)ის ფარგლებში იდენტიფიცირებული ხარვეზები;
9.7. სხვა ობიექტური გარემოებები.
10. რისკების რეესტრში შესაძლოა, აისახოს: გარემოებები (მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი და სხვა.), დამატებითი რისკები (ცენტრის მოსაზრება, რა შეიძლება იყოს დამატებითი რისკი) და კოეფიციენტები (გარემოებები შესაძლოა, დაიყოს შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად და მათ მიენიჭოთ შესაბამისი ქულები - დაბალი 1 ქულა, საშუალო 2 ქულა, მაღალი 3 ქულა, კრიტიკული 4 ქულა).
11. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება იწყება ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, ხოლო შემდგომი ეტაპი მოიცავს დაბალ/საშუალო რისკებს.

მუხლი 4. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები და პასუხისმგებლობის სფერო

1. **ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:**

1.1. ადგენს ვერიფიკაციის გეგმას;

1.2. არჩევს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს;

1.3. მონაწილეობს ვერიფიკაციის სამიზნე მოდულებისა და შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის პროცესში;

1.4. ატარებს ინსტრუქტაჟს ვერიფიკატორებთან;

1.5. განსაზღვრავს შესამოწმებელ მტკიცებულებათა ჩამონათვალსა და ოდენობას;

1.6. განიხილავს ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტს ვერიფიკაციის ჯგუფთან და აზუსტებს/ათანხმებს ფაქტობრივ გარემოებებს;

1.7. ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად იდენტიფიცირებას უკეთებს დამატებით რეკომენდაციებს (არსებობის შემთხვევაში);

1.8 შეიმუშავებს ვერიფიკაციის საბოლოო ანგარიშს და აცნობს ვერიფიკაციის ჯგუფს;

1.9. ვერიფიკაციის დასრულებულ ანგარიშს წარუდგენს ცენტრის ხელმძღვანელსა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

1.10. მონიტორინგს უწევს ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულებას.

2. **ვერიფიკატორი - განათლება (პირი რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ზოგადი ნაწილის შემოწმების პროცედურაში):**

2.1. გამოითხოვს შესამოწმებელ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს.

2.2. ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის ფორმით გათვალისწინებული ველების შევსების სისწორეს მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან;

2.3. ამოწმებს შეფასებისას გამოყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობას;

2.4. ამოწმებს შეფასებისას გამოყენებელი მასალა-ნედლეულის ადეკვატურობას;

2.5. ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდეგ შექმნილი მტკიცებულებების არსებობას;

2.6. გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს შემოწმებული მოდულ(ებ)ის ფარგლებში;

2.7. აწვდის ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელს შესრულებული სამუშაოს შესახებ;

3. **ვერიფიკატორი - დარგი (პირი რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების პროცესში):**

3.1. გამოითხოვს შესამოწმებელ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს.

3.2. ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ნაწილს ვალიდურობის თვალსაზრისით;

3.3. ამოწმებს შეფასების მტკიცებულებათა საკმარისობას;

3.4. ამოწმებს შეფასების მტკიცებულებათა ვალიდურობას;

3.5. ამოწმებს შეფასების დროის საკმარისობას შეფასების ინსტრუმენტში გაწერილ დავალებებთან მიმართებაში;

3.6. ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტში მითითებული გარემოს ვალიდურობას;

3.7. ამოწმებს შეფასებისას გამოყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობას;

3.8.ამოწმებს შეფასებისას გამოყენებელი მასალებისა და ნედლეულის ადეკვატურობას;

3.9. ამოწმებს შეფასების პროცესისა და მოდულის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების ობიექტურობას (შეფასებული პირ(ებ)ის ინტერვიუირების/გამოკითხვის გზით);

3.10. გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს შემოწმებული მოდულ(ებ)ის ფარგლებში;

3.11. აწვდის ინფორმაციას ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელს შესრულებული სამუშაოს შესახებ;

4. **სტუდენტი:**

4.1. აწვდის ინფორმაციას შეფასების ჩატარების წინასწარი ინფორმირების ფაქტის შესახებ;
4.2. აწვდის ინფორმაციას შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;
4.3 აწვდის ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელს რეკომენდაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები

ეტაპზე პასუხისმგებელი
მონაწილე
ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი დარგი)	სტუდენტი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი	პროგრამის ხელმძღვანელი	ცენტრის ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა							
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა							
ვერიფიკატორების შერჩევა							
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი							
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება							
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა							
შეფასების ინსტრუმენტი ტექნიკური მხარის შემოწმება							
შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარის შემოწმება							
შეფასების მტკიცებულებათა ტექნიკური მხარის შემოწმება							
შეფასების მტკიცებულებათა შინაარსობრივი მხარის შემოწმება							
შეფასების პროცესის ტექნიკური მხარის (ფაქტობრივი გარემოებების) შემოწმება							
შეფასების პროცესის შინაარსობრივი მხარის შემოწმება							
ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტის შედგენა							
ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტის განხილვა, რეკომენდაციების შეჯამება და შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე							
შეთანხმება დამატებით რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)							
ვერიფიკაციის საბოლოო ანგარიშის შედგენა							
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)							
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)							
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)							

ვერიფიკაციის დასკვნა	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:	
მოდული/სწავლის შედეგი:	
შემფასებელი/შემფასებლები:	
შეფასების ჩატარების თარიღი:	
ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი:	

ვერიფიკატორები		
გვარი, სახელი	**მიმართულება**	**ხელმოწერა**
	განათლება	
	დარგი	

შემოწმების მიდგომები	**კრიტერიუმი/ინდიკატორი**	**დაკმაყოფილება**		
		დიახ	**არა**	**შენიშვნა/უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დასაბუთება/რეკომენდაცია**
	1. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია			
	შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით			
	მოწმდება შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური (ფორმალური) მხარე			
შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმება განათლების ვერიფიკატორის მიერ	სწორადაა მითითებული პროგრამისა და მოდულის დასახელება, მოდულის სარეგისტრაციო ნომერი და სტატუსი			
	გაწერილია სათანადო ველ(ებ)ი პროფესიული სტუდენტის პირადი მონაცემების იდენტიფიცირებისთვის			
	შეფასების ინსტრუმენტის მიმართულება შეესაბამება მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას			
	მოცემულია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ			
	მოდულის სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები ზუსტადაა გადმოტანილი			
	სწორადაა განსაზღვრული შეფასების დროის რეგლამენტი			
	შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტი შესაბამისობაშია მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან			
	განსაზღვრულია შეფასებისთვის საჭირო გარემო, დამატებითი პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა/ მასალა/ ინვენტარი			
	აღწერილია შეფასების პროცესის პირობები			
	განსაზღვრულია სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების სქემა და დადასტურების პირობები (დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი).			
	განსაზღვრულია შეფასების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდეგ შექმნილი მტკიცებულებები			
	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ			

	შეფასების ფურცელში განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები შედეგებისა და მათი კრიტერიუმების მიხედვით			
	მოწმდება შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარე			
შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარის შემოწმება დარგის ვერიფიკატორის მიერ	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული შეკითხვების/დავალებების შინაარსი ფარავს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შეფასების კრიტერიუმსა და სწავლის შედეგს			
	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული შეკითხვების/დავალებათა რაოდენობა საკმარისია შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის დასადასტურებლად			
	შეფასების ინსტრუმენტში გაწერილი დავალებები მარტივი/გასაგები ენითა და ფორმითაა გადმოცემული			
	დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია ინსტრუმენტში გაწერილი დავალებების შესასრულებლად.			
	შეფასების ინსტრუმენტში მკაფიოდ არის აღწერილი დავალება, მისი შესრულების პირობები და ზუსტად არის განსაზღვრული კონკრეტულად რომელი დავალებ(ებ)ით ფასდება სწავლის კონკრეტული შედეგ(ებ)ი			
	შეფასების ინსტრუმენტში სწორად არის განსაზღვრული და გასაგებად არის განმარტებული ხარვეზის დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი			
შემოწმების მიდგომები	**კრიტერიუმი/ინდიკატორი**	**დაკმაყოფილება**		
		დიახ	**არა**	**შენიშვნა/უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დასაბუთება/რეკომენდაცია**
	2. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია			
	2.1. გამჭვირვალობა			
	შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის			
	მოწმდება შეფასების პროცესის ტექნიკური (ფორმალური) მხარე			
შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) განათლების ვერიფიკატორის მიერ	რეგულაცია ითვალისწინებს გონივრული ვადების გათვალისწინებით, შეფასების თარიღისა და პროცესის შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს.			
	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			

შეფასებული პირის ინტერვიუირება/გამოკითხვა/გამოკითხვის შედეგების გაცნობა-ანალიზი/სხვა მტკიცებულებ(ებ)ის შემოწმება განათლების ვერიფიკატორის მიერ	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასების პროცესის დროს გათვალისწინებული/დაცული იყო შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმები			
	შეფასების პროცესის დაწყების წინ გათვალისწინებულია/ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი			
შემოწმების მიდგომები	**2.2. სამართლიანობა**			
	შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.			
	მოწმდება შეფასების პროცესის შინაარსობრივი მხარე			
შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის ვერიფიკატორის მიერ	შეფასებისთვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფა			
შეფასებული პირის ინტერვიუირება/გამოკითხვა /გამოკითხვის შედეგების გაცნობა-ანალიზი დარგის ვერიფიკატორის მიერ	შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდები, აქტივობები შესაბამისობაშია შეფასების ინსტრუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან			
	შეფასების შედეგების გაცნობა მოხდა ინდივიდუალურად			
	შესაფასებელი პირისთვის შეფასების შედეგ(ებ)თან დაკავშირებით უკუკავშირი/კონსულტაცია განხორციელდა ინდივიდუალურად			
	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			
	2.3. ობიექტურობა			
	შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი (სტუდენტი) ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული			
	მოწმდება შეფასების პროცესის შინაარსობრივი მხარე			
შეფასების ინსტრუმენტის	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			

შესწავლა დარგის ვერიფიკატორის მიერ	სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შეფასებული			
შემოწმების მიდგომები	**კრიტერიუმი/ინდიკატორები**	**დაკმაყოფილება**		
		დიახ	**არა**	**შენიშვნა/უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დასაბუთება/რეკომენდაცია**
	3. შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაცია			
	სანდოობა			
	შეფასების სიტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით			
	მოწმდება შეფასების მტკიცებულების ტექნიკური (ფორმალური) მხარე			
შეფასების მტკიცებულებათა შემოწმება განათლების ვერიფიკატორის მიერ (აღრიცხვის დოკუმენტები ელექტრონული/მატერიალური არქივი, რეგულაციები უწყისები; უწყისების აღრიცხვის ჟურნალები)	კონკრეტული შეფასების უწყისის შესაბამისად, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება კონკრეტული მოდულისთვის / შედეგისთვის			
	მტკიცებულება ხელმოწერილია შეფასებული პირის მიერ დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად			
	მტკიცებულება ხელმოწერილია შემფასებლის მიერ დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად			
	მტკიცებულებაში აღნიშნულია შეფასების განხორციელების თარიღი			
	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულება შეფასებულია შემფასებლის მიერ; ნათლად ჩანს თითოეული დავალების შეფასება			
	მტკიცებულებაში არსებობს შეფასების შედეგ(ებ)ის გრაფა/გრაფები, სადაც საბოლოოდ მონიშნულია სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურება/ვერ დადასტურება			
	მტკიცებულება მიკვლევადობის მიზნით აღრიცხულია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით			
	შეფასების მტკიცებულებები გადაბარებულია მასზე პასუხისმგებელ პირზე და შენახულია დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შენახვისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონთა მოთხოვნები			
	შეფასების შედეგები შეიტანება შეფასების უწყის(ებ)ში. შეფასების უწყის(ებ)ს ავსებს შემფასებელი. მას აქვს, ხელმოწერა, თარიღი და სხვა ყველა საჭირო რეკვიზიტი			
	შეფასების უწყისები აღრიცხულია (რეგისტრირდება არსებული წესის შესაბამისად), გადაბარებულია მასზე პასუხისმგებელ პირზე და შენახულია არსებული წესის შესაბამისად			
	მოწმდება შეფასების მტკიცებულების შინაარსობრივი მხარე			

შეფასების მტკიცებულებათა შესწავლა დარგის ვერიფიკატორის მიერ	მტკიცებულებები შევსებულია შეფასების ინსტრუმენტში განსაზღვრული დავალების შესრულების ინსტრუქციის შესაბამისად			
	მტკიცებულება სწორადაა შეფასებული, შეფასების ინსტრუქციის/სქემის შესაბამისად			
	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება კონკრეტული შედეგ(ებ)ის ყველა კრიტერიუმს ფარავს			
	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			